# ჩვენი სოფელი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გაზეთი გამოდის 2015 წლის ოქტომბრიდან

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა • ოქტომბერი/2025 N10 / 115




დავით სონღულაშვილი: „გურჯაანის ღვინის ფესტივალი“ 2017 წლიდან ტარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრადიციად ჩამოყალიბდა და, ამავდროულად, ყველაზე მასშტაბური ღვინის ფესტივალი გახდა საქართველოში“ — გვ. 2

**რეგიონის ამბები** — გვ. 2-4

- დავით სონღულაშვილი, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან ერთად კახეთში იმყოფებოდა
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი რაჭაში ფერმერებს შეხვდა



**10 ოქტომბერი მეტყევის დღეა!** — გვ. 5

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ბოტანიკურ ბაღში მეტყევის დღის აღნიშვნის ღონისძიება გაიმართა

**ნაბიჯ-ნაბიჯ პლასტიკის გარეშე!** — გვ. 6

**ნადირობის სეზონის გახსნიდან 1 თვეში უკანონო ნადირობის 414 ფაქტი დაფიქსირდა** — გვ. 7

**ქართული ღვინის პოპულარიზაცია** — გვ. 8-9

2025 რთველი

21 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს მევენახეობის რეგიონებში გადამუშავებულია 326,4 ათასამდე ტონა ყურძენი

**საუდის არაბეთის სამეფოში, საერთაშორისო გამოფენაზე FOODEX SAUDI 2025 ქართული ნაციონალური პავილიონი იყო წარმოდგენილი** — გვ. 10

**მაიონებელი გამოსხივება მედიცინაში: რისკები და რადიაციული დაცვის უმნიშვნელოვანესი წესები** — გვ. 11

**ყველაზე გამორჩეული 5 ბილიკი, რომელიც შემოდგომით უნდა დალაშქრო** — გვ. 12

**საქართველოს ტყის იშვიათი სახეობა ქართული ნეკერჩხალი** — გვ. 13

**წარმატების ისტორიები** — გვ. 14

**ფოთლების დაწვა - უხილავი საფრთხე თქვენს ეზოში** — გვ. 15

ამბროლაურისა და ონის ექვს ადმინისტრაციულ ერთეულში ფაროსანას საწინააღმდეგოდ 960 ჰექტარი ფართობია დამუშავებული — გვ. 15

**საქართველოს ბიომრავალფეროვნება** — გვ. 16

• ზარნაშო • კოლხური ყოჩივარდა • წითელმუცელა ბოლოცეცხლა • მწვანე გომბეშო

## დავით სონღულაშვილი: „გურჯაანის ღვინის ფესტივალი“ 2017 წლიდან ტარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრადიციად ჩამოყალიბდა და, ამავდროულად, ყველაზე მასშტაბური ღვინის ფესტივალი გახდა საქართველოში“

11 ოქტომბერს, გურჯაანმა უკვე მეცხრედ უმასპინძლა გურჯაანის ღვინის ფესტივალს, რომელზეც ასობით კომპანიის სხვადასხვა სახეობის 200 ღვინო იყო წარმოდგენილი.

ღონისსძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მთავრობისა და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

„გურჯაანის ღვინის ფესტივალი 2017 წლიდან ტარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა, ოქტომბრის მეორე შაბათს გურჯაანმა უამრავ სტუმარს უმასპინძლოს. ეს არის განსაკუთრებული დღე, როგორც კახეთისთვის, ისე საქართველოსთვის; ეს არის შესაძლებლობა მცირე და საშუალო მარნებისთვის, მეღვინეებისთვის, რომ საკუთარი ღვინოები გააცნონ ფართო აუდიტორიას; ეს არის შესაძლებლობა, საქმიანი კონტრაქტების გაფორმების და ასეთი არაერთი შემთხვევა ყოფილა, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ღვინის ფესტივალს მონაწილეებისთვის. მოგეხსენებათ, შარშან ფესტივალს 30 ათასზე მეტი სტუმარი ეწვია, წელს უფრო მეტს ველოდებით. ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება მასშტაბები. 500-ზე მეტი მონაწილე გვყავს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ფესტივალის აქტუალობას. მინდა, წარმატება ვუსურვო გურჯაანის ღვინის ფესტივალს, მუნიციპალიტეტს და რეგიონს. „გურჯაანის ღვინის ფესტივალი“ ყველაზე მასშტაბური ღვინის ფესტივალია საქართველოში“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა.

## გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან ერთად, საწარმოში „მეღვინეობა კაჭრეთი“ იმყოფებოდა.

**კომპანია „მეღვინეობა კაჭრეთი'' ფრანგული ბრენდის „NAPOLEON“ წარმოებას იწყებს.**

„საქართველო, ფაქტობრივად, არის რეგიონში მშვიდობის კუნძული და ზუსტად ეს განაპირობებს ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. მშვიდობა უზრუნველყოფს შესაძლებლობებს ინვესტორებისთვის, რომ საქართველოში შემოვიდნენ და ის გადაწყვეტილებები, რომელიც ბიზნესისთვის აქამდე ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, დღეს შესაძლებელი გახდა. მინდა, მადლობა გადავუხადო და წარმატებები ვუსურვო კარიჭაშვილების ოჯახს, მადლობა გადავუხადო კაჭრეთის ღვინის მარანს, ამ მნიშვნელოვანი პროექტისთვის. დღევანდელი ფაქტი მნიშვნელოვანი მაგალითია, თუ რა მოაქვს ქვეყნისთვის მშვიდობას, რა მოაქვს ქვეყნისთვის სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას და იმ საინვესტიციო გარემოს, რომელსაც ამ ქვეყანაში „ქართული ოცნება“ უზრუნველყოფს“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

## დავით სონღულაშვილი: „ხარისხიანი ყურძენი თავისთავად უწყობს ხელს ხარისხიანი ღვინის დაყენებას, რაც ცალსახად არის გარანტი ექსპორტის კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობების“

**გურჯაანში, რთველის საკოორდინაციო შტაბში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი კახეთის რეგიონში ყურძნის კრეფისა და დაბინავების შესახებ დეტალურ ინფორმაციას გაეცნენ.**

„ძალიან მნიშვნელოვანი იყო განსხვავებული ფასის განსაზღვრა მაღალკონდიციურ და არაკონდიციურ ყურძენზე, რამაც ხელი შეუწყო ხარისხიანი ყურძნის ჩაბარებას, მიუხედავად ამინდისა. ქარხნების და ღვინის მარნების მხრიდან არის სრული მზადყოფნა.

ყველა მევენახეს აქვს შესაძლებლობა, ჩააბაროს ყურძენი. ხარისხიანი ყურძენი, თავისთავად, ხელს უწყობს ხარისხიანი ღვინის დაყენებას, რაც ცალსახად არის გარანტი ექსპორტის კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობების, ახალი ბაზრების ათვისების და კონკურენტუნარიანობის გაზრდის. ეს ყველაფერი, ჯამში, ემსახურება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

## მეღვინეობის „VINE ERA“ წარმატება კერძო ინიციატივისა და სახელმწიფოს მხრიდან პროგრამული მხარდაჭერის შედეგია

**ღონისძიებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან, მთავრობის და პარლამენტის წევრებთან ერთად დაესწრო.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოფიციალური გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლის დროს, ღვინის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო პროდუქტის წარმოების სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობით მიღებულ შედეგებზე ისაუბრა. მინისტრმა ხარისხიანი პროდუქციის შექმნის სტიმულირების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ დაპირება რჩება უცვლელი - კიდევ უფრო დაფასდება ხარისხი, კიდევ უფრო დაფასდება შრომა.

„ღვინო დღეს ქვეყნის მთავარი საექსპორტო პროდუქტია. ამისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ და გააზრებულად, თანმიმდევრულად მივდიოდით. ჩვენი ხელისუფლების პერიოდში ვენახების ფართობი რამდენჯერმე არის გაზრდილი. ღვინის და სპირტიანი სასმელების ექსპორტი მინიმუმ ხუთჯერ გაიზარდა სამიზნე ბაზრებზე, ხოლო 2024 წელს დაფიქსირდა ექსპორტის რეკორდული შემოსავლები, რომელმაც ნახევარ მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ეს ციფრები კიდევ უფრო გაიზრდება ხელშემწყობი პროგრამების სრული სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ. ჩვენი დაპირება რჩება უცვლელი - კიდევ უფრო დაფასდება ხარისხი, კიდევ უფრო დაფასდება შრომა“, - აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

## გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი რაჭაში

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი რაჭის ეროვნული პარკის რეინჯერებს შეხვდა და მათ საქმიანობას ადგილზე გაეცნო**

რაჭის ეროვნული პარკი რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში, ონის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. ეროვნული პარკი 2023 წელს შეიქმნა და მისი საერთო ფართობი 50 835 ჰა-ია. რაჭის ეროვნულ პარკს 11 რეინჯერი იცავს.

დავით სონღულაშვილმა მადლობა გადაუხადა რეინჯერებს ბუნების დაცვაში შეტანილი წვლილისთვის და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობისთვის, დაცული ტერიტორიების შექმნა-განვითარების პარალელურად, მნიშვნელოვანი პრიორიტეტია რეინჯერების შესაბამისი სამუშაო პირობებითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

რაჭის ეროვნული პარკის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხებით უკვე შეძენილია 4 კვადროციკლი, 2 მაღალი გამავლობის ავტომანქანა, 3 ტრაქტორი, ბაგი და თოვლის მანქანა (ბურანი), რომელიც რეინჯერებს შესაძლებლობას აძლევს, მეტად ეფექტიანად განახორციელონ პატრულირების პროცესი.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დაგეგმილია რაჭის დაცული ტერიტორიების გაფართოება და განვითარება, რისთვისაც უკვე მომზადებულია კანონპროექტი.

რაჭის ეროვნული პარკი ახალი დაცული ტერიტორიაა, რომლის ეკოტურისტული მიმართულებით განვითარების მიზნით, აშენდება და მოეწყობა ვიზიტორთა ცენტრი და ადმინისტრაციული შენობა.

რაჭაში ასევე მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, ტურისტული თავშესაფრები, სარეინჯეროები და სხვა თანმდევი ინფრასტრუქტურა.

## დავით სონღულაშვილი: „რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში ტყის აღდგენის ღონისძიებები 100,6 ჰა-ზე მიმდინარეობს“

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონული სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა და მათ სამუშაო პირობებს ადგილზე გაეცნო.**

„რაჭის რეგიონს ტურისტული პოტენციალის განვითარების კარგი შესაძლებლობა აქვს. შესაბამისად, სხვა პრიორიტეტებთან ერთად, მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობა ამ რეგიონში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

კერძო სექტორის ხელშეწყობა ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა და ეკოტურიზმის განვითარებაში გარემოსდაცვითი პოლიტიკის ნაწილია, რაც რეგიონში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს“, - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა.

სატყეო სამსახურის ახალი ოფისი რეგიონის 4 მუნიციპალიტეტს ემსახურება. შენობა აღჭურვილია მაღალი სტანდარტების საჭირო ინვენტარით და ტექნიკით.

რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურში დასაქმებულია 104 თანამშრომელი, მათ შორის 11 მეტყევე და 57 ტყის მცველი. ეროვნული სატყეო სააგენტოს სერვისებით, რეგიონის დაახლოებით 250-მდე სოფლის მოსახლეობა სარგებლობს.

## დავით სონღულაშვილი ამბროლაურში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებს შეხვდა

„გარემოსდაცვითი მიმართულება საქართველოს ხელისუფლებისთვის პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ, მაქსიმალური მხარდაჭერა აქვს მიმდინარეობს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გაძლიერების პროცესი, რომლის შემადგენელი ნაწილია რეგიონული ოფისების მშენებლობა/ რეაბილიტაცია“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

და ექნება გარემოსდაცვითი კონტროლის განმახორციელებელ უწყებას. კონტროლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, აქტიურად

დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის განყოფილების ოფისში, რომელიც ამბროლაურში მდებარეობს, სარემონტო სამუშაოები 2025 წლის ივნისში დაიწყო. რემონტის დასრულების შემდეგ ოფისი სრულად იქნება აღჭურვილი თანამედროვე სტანდარტების ყველა საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით.

## რაჭაში სახელმწიფო მხარდაჭერით შექმნილი საწარმო 12 სახეობის ღვინოს აწარმოებს

**გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ იწაში, შპს „იწის მარანში“ იმყოფებოდა, სადაც რთველისათვის მზადების პროცესს ადგილზე გაეცნო.**

ღვინის საწარმო, 2019 წელს სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებით შეიქმნა. „გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის” თანადაფინანსება 600,000 ლარია. კომპანია, ასევე სარგებლობს სახელმწიფო პროგრამით „ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა“ და პროექტით „შეღავათიანი აგროკრედიტი“. საწარმო, რომელიც წლიურად 12 სახეობის 30,000 ბოთლ ღვინოს აწარმოებს, ღვინოს სამარკო ნიშნით „ბიმბილი“ ყიდის. „წელს რაჭაში 1500-2000 ტონამდე მოსავალს ველოდებით. რთველი რაჭაში, ორგანიზებულად და წარმატებით ჩატარდება, ამისთვის მაქსიმალურად მობილიზებულია ჩვენი რესურსები, ყველა მევენახე შეძლებს მოსავლის შეუფერხებლად დაბინავებას. წელს რეგიონს კიდევ ერთი ადგილწარმოშობის ღვინო „რაჭა“ დაემატა, ეს ხაზს უსვამს ამ მხარის უნიკალურობას და მის წვლილს ქვეყნის მეღვინეობის დარგში, რომლის განვითარების ხელშეწყობა ჩვენთვის ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

## გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, სურსათის ეროვნული სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონის სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა

დავით სონღულაშვილი სამუშაო ფორმატში გაეცნო სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებით სააგენტოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, გეგმებსა და გამოწვევებს. თანამშრომლებთან შეხვედრაზე მინისტრმა ხაზი გაუსვა თითოეული მათგანის როლს სამომხმარებლო ბაზრის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფასა და „ფერმიდან სუფრამდე“ ერთიან ჯაჭვში იმ ღონისძიებების მნიშვნელობას, რომლებიც ცხოველთა ჯანმრთელობის და მცენარეთა დაცვის მიმართულებით ტარდება. აღსანიშნავია, რომ რაჭა-ლეჩხუმი ვეტერინარული თვალსაზრისით ერთ-ერთი კეთილსაიმედო რეგიონია. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ვაქცინაცია მხოლოდ ცოფის საწინააღმდეგოდ ხორციელდება. ამავდროულად, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს აგრარული ბაზრების, სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების, სურსათის სავაჭრო ობიექტების კონტროლი. რეგიონში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების ცხოველთა სასაკლაო და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხორცისა და ხორცპროდუქტების შემოწმებას. ამასთან, მნიშვნელოვანია მცენარეთა დაცვის ღონისძიებები, რომლებსაც სააგენტო რეგიონში ატარებს. მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ხორციელდება აზიური ფაროსანას მონიტორინგი და ფართობების შეწამვლა. დღეისათვის, შესაბამისი პრეპარატებით დამუშავებული ფართობების რაოდენობა 6 500-მდე ჰექტარს შეადგენს.

## გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრი ქ. ამბროლაურში იმყოფებოდა, სადაც კოოპერატივის „რაჭის ნატურალური პროდუქტები“ თაფლის საწარმო დაათვალიერა.

კოოპერატივი „რაჭის ნატურალური პროდუქტები“ სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარია. კომპანიამ რამდენჯერმე ისარგებლა პროექტით „შეღავათიანი აგროკრედიტი“. „ტექნიკური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, პროდუქციის ბრენდირებისთვის მიიღო თანადაფინანსება. თაფლის საწარმოს წლიურად 200 ტონა თაფლის გადამუშავების შესაძლებლობა აქვს. კომპანია თაფლის რეალიზაციას საბითუმო პარტიებად ადგილობრივ ბაზარზე ახდენს.

„ქართული თაფლის წარმოების და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ჩვენს ქვეყანას აქვს პოტენციალი, მსოფლიოს ბაზრებზე გამორჩეული თვისებების მქონე ქართული თაფლის მიმწოდებელი იყოს. სწორედ ქართული თაფლი გახდა პირველი ცხოველური პროდუქტი, რომელიც საქართველოდან ევროპის ბაზარზე გავიდა. თაფლის წარმოების ხელშეწყობას ითვალისწინებს არაერთი სახელმწიფო პროგრამა. ამავდროულად, ქვეყანაში გაუმჯობესებულია ლაბორატორიული შესაძლებლობები; სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში დანერგილია თაფლის სხვადასხვა პარამეტრზე კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგია. თაფლის წარმოება მხარდაჭერილია როგორც ფინანსური, ტექნოლოგიური, თანამდეროვე ცოდნაზე წვდომის მიმართულებებით, ასევე, რეალიზაციის კუთხით. ქართველი მეწარმეები, სახელმწიფოს ხელშეწყობით, მონაწილეობას იღებენ მსოფლიო მასშტაბით გამართულ ყველაზე პრესტიჟულ აგროგამოფენებში. ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლის გაძლიერებით, ჩვენ ვქმნით ყველა პირობას, რომ გავზარდოთ ქართული თაფლის წარმოება და რეალიზაცია“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

თაფლის საწარმოში მეფუტკრეებთან გამართულ შეხვედრაზე მინისტრმა მეფუტკრეობისა და თაფლის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის ყველა კომპონენტში არსებული მგომარეობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მოისმინა.

საქართველოს მასშტაბით, „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ფარგლებში, 2013 წლიდან, თაფლის წარმოების განვითარების მიზნით გაცემულია 70 მლნ ლარზე მეტი აგროსესხი, სადაც სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 17 მლნ აჭარბებს. მათ შორის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში გაცემულია 730,000 ლარზე მეტი აგროსესხი, სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება დაახლოებით 170,000 ლარია.

## რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამით“ 59 ბიზნესიდეა დაფინანსდა

**დავით სონღულაშვილი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოში სახელმწიფო პროგრამის დაფინანსებით შექმნილი სასტუმრო დაათვალიერა.**

სასტუმრო „ასკრიონი“ 2023 წელს, „მაღალთიან დასახლებაში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის“ თანადაფინანსებით შეიქმნა. სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 100,000 ლარია. სასტუმროს, რომელიც 20 სტუმარზეა გათვლილი, 7 ნომერი აქვს. „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ 11,8 მლნ ლარით თანადაფინანსებულია 146 ბიზნესიდეა, მათ შორის - 84 საოჯახო სასტუმროს შექმნა 6,8 მლნ ლარით. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონში 4,4 მლნ ლარით თანადაფინანსებულია 59 ბიზნეს იდეა, მათ შორის - 38 საოჯახო სასტუმროს შექმნა 2,8 მლნ ლარით.

პროგრამის მიზანია, თანადაფინანსების გზით, ხელი შეუწყოს მაღალმთიან დასახლებებში კერძო სექტორის განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოახდინოს ახალგაზრდა მეწარმეებისა და ეკონომიკური აქტივობის ზრდის სტიმულირება.



# 10 ოქტომბერი მეტყევის დღეა!

## გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ბოტანიკურ ბაღში მეტყევის დღის აღნიშვნის ღონისძიება გაიმართა

**მინისტრმა დავით სონღულაშვილმა მეტყევეებს პროფესიული დღე მიულოცა და სატყეო სექტორის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.**

„მოგეხსენებათ, ტყე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანძურია, რომელსაც დაცვა და მოფრთხილება სჭირდება. ტყის დაცვა და აღდგენა ჩვენი პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა. მხოლოდ და მხოლოდ მეტყევის გვერდში დგომით არის ჩვენი გეგმების განხორციელება შესაძლებელი; მათთან ერთად არის შესაძლებელი, მოვუფრთხილდეთ ჩვენს უნიკალურ საგანძურს და შევუნახოთ ჩვენს მომავალ თაობას. მეტყევეებს ვულოცავ პროფესიულ დღეს და ვუსურვებ წარმატებებს“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

წარმატებული საქმიანობისთვის სამკერდე ნიშანი და ფულადი ჯილდო გადაეცათ ეროვნული სატყეო სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის და აჭარის ა/რ სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებს. ღონისძიებაზე სატყეო დარგში მოღვაწე სამეცნიერო და აკადემიური წრეების წარმომადგენლებიც დაჯილდოვდნენ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის, დავით სონღულაშვილის ინიციატივით, დამსახურებული მეტყევის სტატუსი მიენიჭა დარგის ღვაწლმოსილ მეტყევეებს და მათ სპეციალური ჯილდო გადაეცათ.

აღინიშნა, რომ, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, სატყეო რეფორმის ფარგლებში, არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა, რამაც ხელშესახები შედეგები მოიტანა ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დანერგვის მიმართულებით. ყველა განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობის მიზანია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრის - ტყის დაცვა; ამავდროულად, სწორად მართულმა სატყეო სექტორმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ, მაია ბითაძემ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მინისტრმა დავით სონღულაშვილმა არა მხოლოდ გააგრძელა მეტყევის დღის აღნიშვნის ტრადიცია, არამედ მისი მხარდაჭერით ტყის რეფორმის ფარგლებში ბოლო პერიოდში განხორციელდა და იგეგმება არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე.

ღონისძიებაზე ვიდეორგოლის „მე მეტყევე ვარ“ პრეზენტაციაც გაიმართა.

მეტყევის დღის აღსანიშნავ ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის სოფლის მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარე გელა სამხარაული, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრი დენის სალუქვაძე, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს, აკადემიური წრის და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# ნაბიჯ-ნაბიჯ პლასტიკის გარეშე!

**შეამცირე ნარჩენი გარემოს და ჯანმრთელობის დასაცავად**

## პლასტიკის გამოყენება საფრთხეა!

- ერთი შეხედვით უწყინარი პლასტიკის ჭიქა და თეფში, ერთი კოვზი და ერთი კონტეინერი, ერთი ჩანგალი, პარკი ... და კიდევ ბევრი ერთი, ათობით მილიონი პლასტიკია, რომელიც განუსაზღვრელი რაოდენობის ნარჩენს ქმნის;
- პლასტიკი საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის;
- მომაკვდინებელი საფრთხეა წყლის ცოცხალი ორგანიზმებისთვის;
- ჩვენი გარემოს - მთის, ტყის, ზღვის, მდინარის, სანაპიროს დაბინძურების წყაროა;
- პლასტიკის მოხმარების შემცირება დავიწყოთ დღესვე.

# სურსათთან შეხებაში მყოფი ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის მოხმარების რეგულირების საკითხებზე ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი, მინისტრის მოადგილეები სოლომონ პავლიაშვილი, კახა კაკაბაძე და ლაშა ავალიანი ბიზნესსექტორის, მათ შორის, სავაჭრო ქსელების წარმომადგენლებს, პლასტმასის მწარმოებლებს და იმპორტიორებს შეხვდნენ.**

შეხვედრის მიზანს დაინტერესებული მხარეებისთვის სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი პლასტმასის პროდუქტების რეგულირების საკითხის განხილვა წარმოადგენდა.

„მოგეხსენებათ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად მუშაობს სურსათთან პირდაპირ შეხებაში მყოფი ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის მოხმარების რეგულირების საკითხებზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სექტორთან კოორდინირებული თანამშრომლობა და ისეთი რეგულაციის შემუშავება, რაც ჯანმრთელობის, გარემოს დაცვის საკითხებს და ეკონომიკურ ინტერესებს დააბალანსებს“, - განაცხადა ნინო თანდილაშვილმა.

რეგულაციის სამუშაო ვერსიის თანახმად, იგეგმება პლასტმასის დანების, ჩანგლების, კოვზების, თეფშების, ჩხირების, საწრუპების, სასმლის მოსარევების, ასევე გაფართოებული პოლისტიროლისგან დამზადებული სასურსათო კონტეინერების, მათი თავსახურების, ასევე ჭიქების და მათი თავსახურების წარმოების (გარდა ექსპორტის მიზნით), იმპორტის და სხვა ბაზარზე განთავსების აკრძალვა.

რეგულაცია ასევე შეეხება, საზოგადოებრივი კვების ობიექტებს, რომლებიც პლასტმასისგან დამზადებული ერთჯერადი სასურსათო კონტეინერების და ჭიქების საშუალებით ახდენენ მზა სურსათის მომხმარებლებისთვის მიწოდებას.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ახალ რეგულაციაზე გადასვლის ვადებზე.

აღსანიშნავია, რომ პლასტმასის ჭარბი მოხმარება დღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით გამოწვევას წარმოადგენს. საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგებით, ქვეყანა ყოველწლიურად დაახლოებით 612,5 მილიონ ერთეულ ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის ჭიქას, თავსახურს, საკვების კონტეინერს, დანას, ჩანგალს, კოვზს, ე.წ. „საწრუპს“, თეფშს და სასმლის მოსარევს მოიხმარს, რაც ჯამურად 3.9 - 5.9 ათას ტონა პლასტიკს შეადგენს.

სამინისტროში გამართულ შეხვედრას ბიზნესასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლევან ვეფხვაძე, სამინისტროს შესაბამისი უწყების ხელმძღვანელი პირები და სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# სამინისტროში ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტების მართვის საკითხები განიხილეს

**ევროპული გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველომ უნდა განავითაროს ისეთი ცხოველური ნარჩენების მართვის სისტემა, რომელიც გარემოსდაცვით და ეკონომიკურ ასპექტებს დაეფუძნება.**

„ცხოველური ნარჩენების მართვა საქართველოში მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების ნარჩენების, მათ შორის, სასაკლაოებში, ბაზრებსა და ფერმებში წარმოქმნილი ცხოველური ნარჩენების სწორი მართვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ისე გარემოს დაცვისა და ეკონომიკური მდგრადობის თვალსაზრისით. მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე ამ ნარჩენების განთავსება წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს. ცხოველური ნარჩენის ნაგავსაყრელზე უკონტროლოდ განთავსებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ინფექციების გავრცელება, ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ასეთი ნარჩენის სეპარირება, შეგროვება, ტრანსპორტირება და გადამუშავება ქმნის ღირებული რესურსების – ბიოგაზი, ორგანული სასუქი ან ცხოველთა საკვები - გარდაქმნის შესაძლებლობას, რაც დამატებით ეკონომიკურ სარგებელს იძლევა; შესაბამისად, ცირკულარული ეკონომიკის საკითხია. კერძო სექტორთან მჭიდრო კოორდინაციით, დროულად უნდა მოვძებნოთ ეფექტიანი გამოსავალი“, - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

# ნადირობის სეზონის გახსნიდან 1 თვეში უკანონო ნადირობის 414 ფაქტი დაფიქსირდა

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლა პრიორიტეტია.**

**უკანონო ნადირობის ფაქტების პრევენციის, აღკვეთისა და გამოვლენის მიზნით, დეპარტამენტის თანამშრომლები, ქვეყნის მასშტაბით კონტროლს განსაკუთრებით ამკაცრებენ გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონის განმავლობაში.**

**სეზონის დაწყებიდან 1 თვეში უკვე აღკვეთილია უკანონო ნადირობის 414 ფაქტი. დეპარტამენტი მოქალაქეებს მოუწოდებს, ინადირონ კანონის დაცვით, სამართალდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში კი დარეკონ სამინისტროს ცხელ ხაზზე (153), რათა შესაბამისი რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა მყისიერი რეაგირება მოახდინონ.**

## რა უნდა გაითვალისწინოს ნადირობის მოყვარულმა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპყრობის წესების, ვადებისა და მოპოვებისთვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დამტკიცების თაობაზე“ ბრძანების შესაბამისად, ნადირობის სეზონი 2025 წლის აგვისტოს მეოთხე შაბათს (23 აგვისტო) გახსნა. სეზონი მომდევნო წლის 1 მარტამდე გაგრძელდება.

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის მსურველმა ნადირობამდე აუცილებლად უნდა გადაიხადოს გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებელი (10 ლარი). მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერ ბანკში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220 101 222, ანგარიშის ნომერი: N200122900, ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი: 3033.

ნადირობის მსურველმა ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ ნადირობა აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ადგილებში, მათ შორის: საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში, სახელმწიფო ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში, ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე, ასევე, სახელმწიფო ნაკრძალების გარშემო 500-მეტრიან და ეროვნული პარკების გარშემო 250-მეტრიან ზონებში; სამინისტროს სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს მართვაში/სარგებლობაში არსებულ საშენი მეურნეობების ფართობებზე.

რაც შეეხება იარაღს - ნადირობა აკრძალულია ყველა სხვა იარაღიდან, რომელიც მითითებული არ არის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლში, კერძოდ: სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან (თოფი), სანადირო ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან (კარაბინი ან შაშხანა), სანადირო კომბინირებული ცეცხლსასროლი იარაღიდან (ხრახნილლულიანი და გლუვლულიანი თოფი), სანადირო ცივი და ცივი სასროლი იარაღიდან და სანადირო პნევმატური იარაღიდან.

## სეზონის გახსნიდან 1 თვეში 414 სამართალდარღვევა დაფიქსირდა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ნადირობის სეზონის დაწყებიდან 1 თვის განმავლობაში, უკანონო ნადირობის 414 ფაქტი გამოავლინეს.

- უკანონო ნადირობის ყველაზე მეტი - 147 ფაქტი დაფიქსირდა სამეგრელო-ზემო სვანეთში
- იმერეთში - 48
- გურიაში - 44
- აჭარაში - 40
- ქვემო ქართლში - 40
- შიდა ქართლში - 36
- მცხეთა-მთიანეთში - 29
- სამცხე-ჯავახეთში - 18
- კახეთში - 8
- რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში - 2

სამართალდარღვევა გამოვლენილია დედაქალაქშიც - 2025 წლის 23 აგვისტოდან 23 სექტემბრის ჩათვლით, თბილისში უკანონო ნადირობის 2 ფაქტია აღკვეთილი.

გამოვლენილი სამართალდარღვევებიდან 363 აკრძალული იარაღით ან მეთოდით ნადირობის ფაქტებია. 26 შემთხვევაში სამართალდამრღვევები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნადირობდნენ, 20 შემთხვევაში მათ გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებელი არ ჰქონდათ გადახდილი, 5 კი, ნადირობის წესების დარღვევის ფაქტია.

ბრაკონიერებმა 1 თვეში უკანონოდ მოინადირეს 9 მწყერი. ჩამორთმეულია 21 სანადირო იარაღი.

დაფიქსირდა უკანონო საშუალებით - ხელნაკეთი ხმოვანი მოწყობილობით (ე.წ. მანოკი) ნადირობის ფაქტებიც. სეზონის დაწყებიდან 1 თვეში ამოღებულია 358 „მანოკი“. ყველაზე მეტი - 142 „მანოკი“ დაილუქა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ.

## როგორია სანქციები უკანონო ნადირობაზე

სამართალდარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, ბრაკონიერს სხვადასხვა ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს. მინიმალური ჯარიმა 150 ლარია და რიგ შემთხვევაში, შესაძლოა, ბრაკონიერს 3 000 ლარის გადახდაც დაეკისროს. ამასთან, ნადირობის წესების დარღვევისას ხდება მოპოვებული ობიექტის, სანადირო იარაღისა და მოწყობილობის კონფისკაცია. გარდა ამისა, რიგ შემთხვევაში, შესაძლოა პირს სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება 1-3 წლის ვადით ჩამოერთვას.

## ვადები და დღიური ლიმიტები, ნადირობის ადგილების მიხედვით

### სახეობები, რომლებზეც ნადირობა ნებადართულია სამონადირეო მეურნეობების გარეთ

წყალმცურავი ფრინველები, რომლებზეც ნადირობა, მითითებულ ვადებში და დღიური ლიმიტებით ნებადართულია საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებისა

1 Anser anser რუხი ბატი - 01.11 – 01.03 - 5 ცალი
2 Mareca strepera (Anas strepera) რუხი იხვი - 01.11 – 01.03 - 3 ცალი
3 Anas crecca ჭიკვარა (სტვენია იხვი) - 01.11 – 01.03 - 5 ცალი
4 Anas platyrhynchos გარეული იხვი 01.11 – 01.03 - 6 ცალი
5 Spatula clypeata (Anas querquedula) იხვინჯა (ჭახჭახა იხვი) 01.11 – 01.03 - 3 ცალი
6 Spatula clypeata (Anas clypeata) ფართოცხვირა (განიერნისკარტა) იხვი - 01.11 – 01.03 - 3ცალი
7 Fulica atra მელოტა - 01.11 – 01.03 - 6 ცალი
8 Anas acuta კუდსადგისა (ბოლოსადგისა) იხვი - 01.11 – 01.03 - 3 ცალი
9 Mareca Penelope (Anas penelope) თეთრშუბლა იხვი - 01.11 – 01.03 - 6 ცალი
10 Anser albifrons დიდი თეთრშუბლა ბატი - 01.11 – 01.03 - 5 ცალი
11 Aythya fuligula ქოჩორა ყვინთია - 01.11 – 01.03 - 5 ცალი

### წყალმცურავი ფრინველები, რომლებზეც ნადირობა, მითითებულ ვადებში და დღიური ლიმიტებით, ნებადართულია მხოლოდ ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე

1 Anser anser რუხი ბატი - 10.09 – 31.12 - 3 ცალი
2 Mareca strepera (Anas strepera) რუხი იხვი - 10.09 – 31.12 -2 ცალი
3 Anas crecca ჭიკვარა (სტვენია იხვი) - 10.09 – 31.12 - 3 ცალი
4 Anas platyrhynchos გარეული იხვი - 10.09 – 31.12 - 5 ცალი
5 Spatula clypeata (Anas querquedula) იხვინჯა (ჭახჭახა იხვი) -10.09 – 31.12 – 2 ცალი
6 Spatula clypeata (Anas clypeata) ფართოცხვირა (განიერნისკარტა) იხვი - 10.09 – 31.12 – 2 ცალი
7 Fulica atra მელოტა - 10.09 – 31.12 - 5 ცალი
8 Anas acuta კუდსადგისა (ბოლოსადგისა) იხვი -10.09 – 31.12 - 2 ცალი
9 Mareca Penelope (Anas penelope) თეთრშუბლა იხვი - 10.09 – 31.12 – 3 ცალი
10 Anser albifrons დიდი თეთრშუბლა ბატი - 10.09 – 31.12 - 3 ცალი
11 Aythya fuligula ქოჩორა ყვინთია - 10.09 – 31.12 - 3 ცალი

### სხვა ფრინველები

1 Scolopax rusticola ტყის ქათამი - 01.10 – 01.03 - 5 ცალი
2 Gallinago gallinago ჩიბუხა აგვისტოს მეოთხე შაბათიდან – 15 თებერვლამდე - 5 ცალი
3 Coturnix coturnix მწყერი - აგვისტოს მეოთხე შაბათიდან – 15 თებერვლამდე -20 ცალი
4 Columba palumbus ქედანი - აგვისტოს მეოთხე შაბათიდან – 15 თებერვლამდე - 10 ცალი
5 Columba livia გარეული მტრედი - აგვისტოს მეოთხე შაბათიდან – 15 თებერვლამდე -10 ცალი
6 Columba oenas გულიო (გვიძინი) - აგვისტოს მეოთხე შაბათიდან – 15 თებერვლამდე - 10 ცალი
7 Streptopelia decaocto საყელოიანი გვრიტი - აგვისტოს მეოთხე შაბათიდან – 15 თებერვლამდე - 5 ცალი
8 Crex crex ღალღა - აგვისტოს მეოთხე შაბათიდან – 15 თებერვლამდე - 5 ცალი
9 Lymnocryptes minimus ჩიბუხელა (გარშნეპი) - აგვისტოს მეოთხე შაბათიდან – 15 თებერვლამდე - 5 ცალი.

## რთველი 2025

**21 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს მევენახეობის რეგიონებში გადამუშავებულია 326,4 ათასამდე ტონა ყურძენი**

### კახეთში რთველი დასასრულს უახლოვდება.

საქართველოს უმთავრეს მევენახეობის რეგიონში წელს რეკორდული მოსავალი ფიქსირდება

21 ოქტომბრის მდგომარეობით, კახეთში გადამუშავებულია 320 ათასამდე ტონა ყურძენი, მოსავალი 20 ათასამდე მევენახე-ფერმერმა დააბინავა.

**გადამუშავებული ყურძნიდან:**

- 167 ათასამდე ტონა რქაწითელი
- 133 ათასამდე ტონა საფერავი
- დანარჩენი კი, სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

რთველის პროცესში ჩართული იყო 500 საწარმო, აქედან 30-მდე ლოკაციაზე განთავსებული იყო სახელმწიფო საწარმოს მიმღები პუნქტები.

წელს, კახეთის რეგიონში ღვინის კერძო კომპანიებზე სუბსიდია აღარ გაიცა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს, ჭარბ ყურძენს სახელმწიფო საწარმო შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ ხარისხის მიხედვით დიფერენცირებულ ფასად იბარებს:

კახეთის რეგიონში მოწეული საფერავის ჯიშის ყურძენს - 1.50 ლარად, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონით ნებადართულ სხვა საღვინე ჯიშებს - 1.20 ლარად, არაკონდიციურ და დაზიანებულ/ან დაავადებულ ყურძენს - 1.00 ლარად.

### რაჭაში რთველი დასრულდა

21 ოქტომბრის მდგომარეობით, რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, 3 ათასი ტონა ყურძენია გადამუშავებული. აქედან, უდიდესი ნაწილი, 2,9 ათასი ტონა ალექსანდროული და მუჯურეთულია. უკვე არსებული მონაცემებით, წელს რაჭის რეგიონშიც რეკორდული რაოდენობის ყურძენი გადამუშავდება.

მოსავალი 1400-ზე მეტმა მევენახემ დააბინავა; რთველის პროცესში 60-მდე ღვინის საწარმო იყო ჩართული, მათ შორის, სახელწიფო საწარმო შპს „მოსავლის მართვის კომპანია“.

ყურძენი განსაკუთრებით ხარისხიანია, საშუალო შაქრიანობა 22%-ია, რაც იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ წლევანდელი მოსავლის რაჭული ღვინო იქნება განსაკუთრებული და მაღალხარისხიანი.

რაჭის რეგიონში, რთველის პროცესში კერძო სექტორის ჩართულობის სტიმულირების და მოსავლის ორგანიზებულად დაბინავების მიზნით, მთავრობის გადაწყვეტილებით, სუბსიდირების პროგრამა ხორციელდება. სუბსიდიას მიიღებს ყველა ის კომპანია, რომელიც შეიძენს და გადაამუშავებს „ხვანჭკარას“ მიკროზონაში მოწეულ არანაკლებ 3 ტონა ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენს და მევენახეს არანაკლებ 8 ლარს გადაუხდის. სახელმწიფო სუბსიდიის ოდენობა, რომელსაც რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ღვინის კომპანიები მიიღებენ, შეადგენს 4 ლარს, როგორც 1 კგ ალექსანდროულის, ასევე, 1 კგ მუჯურეთულის ჯიშის ყურძენზე.

ადგილწარმოშობის ღვინო „ხვანჭკარის“ ჯიშობრივი სიზუსტის დაცვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ყურძნის მიმღებ ყველა პუნქტზე ამპელოგრაფები მონიტორინგს უწევდნენ ჩასაბარებელ ყურძენს. ამასთან, რეგიონის შემოსასვლელებში მოწყობილი იყო სპეციალური ბლოკპოსტები, რათა არ მომხდარიყო ყურძნის სხვა მუნიციპალიტეტებიდან შემოტანა და მუჯურეთულსა და ალექსანდროულში შერევა.

**წელს, უხვი ნალექის გამო, რთველის პიკურ პერიოდში, გადამმუშავებელ საწარმოებთან ყურძნით დატვირთული მანქანების ნაკადი გაიზარდა, რამაც ჩაბარების პროცესი გაახანგრძლივა. რთველის პიკურ პერიოდში საწარმოები დღე-ღამეში 10-12 ათასამდე ტონა ყურძენს ამუშავებდნენ, რაც რთველის პროცესის მაღალ აქტიურობაზე მიუთითებდა.**

**სექტემბერში საგარეჯოსა და გურჯაანში 2-ჯერ, თელავის შემთხვევაში კი, ნალექის რაოდენობამ 4-ჯერ გადააჭარბა გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს, რამაც განაპირობა კრეფისთვის ხელსაყრელი დღეების რაოდენობის შემცირება, გამოიწვია კრეფის პიკური დღეები და, შემდგომ უკვე რიგები. ღვინის საწარმოებთან ყურძნით დატვირთული მანქანების ნაკადი, განსაკუთრებით რთველის პიკურ პერიოდში, მუშა პროცესია: ღვინის საწარმოებში ყურძნის ჩაბარება დაკავშირებულია აღრიცხვასა და კონკრეტულ ტექნოლოგიურ პროცედურებთან, რაც საჭიროებს გარკვეულ დროს. ამასთან ერთად, ყველას საწარმოს აქვს დღეღამური გადამუშავების ლიმიტი საკუთარი ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში და სიმძლავრეებიდან გამომდინარე.**

**რთველის საკოორდინაციო შტაბს, რიგების კონტროლის მიზნით, შემუშავებული აქვს შემდეგი სქემა - ყოველდღიურად, საკოორდინაციო შტაბის წევრები შესაბამისი სოფლების რწმუნებულებს აწვდიან ინფორმაციას დღეღამური გადამუშავების კვოტების და ჩამბარებელი საწარმოების მისამართების შესახებ. ამ კვოტების საფუძველზე, სოფლის რწმუნებულები მევენახეებზე გასცემენ ცნობებს. შესაბამისად, რიგების შემცირებისა და კონტროლის მიზნით, მევენახეებმა ინფორმაცია უნდა მიიღონ სოფლის რწმუნებულებისგან, აიღონ ცნობა, შემდგომ დაიწყონ კრეფა და მივიდნენ ცნობაში მითითებულ ქარხანაში.**

## ქართული ღვინის წარდგენა ლონდონში

**10 სექტემბერს, დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Swirl Wine Group“ ორგანიზებით, ლონდონში ქართული ღვინის პროფესიული დეგუსტაცია „The Georgian Palate” (ქართული გემო) გაიმართა.**

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სტილის და დასახელების ქართული ღვინოები. დეგუსტაციას, რომელსაც ღვინის პროფესიონალები, მედიის და გაყიდვების სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ, „Swirl Wine Group“ დამფუძნებელი, ღვინის მაგისტრი სარა ებოტი უძღვებოდა.

## ნიდერლანდებში ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა

**ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Wijnimport Bleeker“ ორგანიზებით, ამსტერდამში, 5-7 სექტემბერს, საერთაშორისო ფესტივალის „Amsterdam Wine Festival“ ფარგლებში, ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა.**

გამოფენის ათასობით სტუმარს შესაძლებლობა მიეცა, დაეგემოვნებინა ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების სხვადასხვა სტილის როგორც კლასიკური, ისე ქვევრის ტექნოლოგიით დამზადებული ღვინოები. ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება წარმოადგენს.

## ქართული ღვინის წარდგენა იაპონიის ქალაქ ნაგოიაში გაიმართა

**საქართველოს მეღვინეობის ისტორიის, კულტურის, ვაზის ჯიშებისა და ღვინის თანამედროვე ინდუსტრიის შესახებ პრეზენტაცია კომპანიის „Red Bridge“ დირექტორმა, იაპონიაში ერთადერთმა ღვინის მაგისტრმა, კენიჩი ოჰაშიმ გამართა; მანვე სტუმრებს სხვადასხვა სტილის 8 ქართული ღვინო წარუდგინა კახეთის, იმერეთისა და რაჭის რეგიონებიდან.**

ღონისძიებას იმპორტიორები, ბაიერები, სავაჭრო ქსელებისა და მედიის წარმომადგენლები, ჯამში, 100-მდე სტუმარი დაესწრო. ნაგოია, იაპონიის ჩუბუს პრეფექტურის უდიდესი და ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქი, რეგიონის დედაქალაქად ითვლება და მნიშვნელოვან სატრანსპორტო და სამრეწველო ცენტრს წარმოადგენს 10 მილიონი მაცხოვრებლით. ნაგოია იაპონიაში სიდიდით მესამე ქალაქია ტოკიოსა და ოსაკას შემდეგ.

## ლოს-ანჯელესში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია ჩატარდა

**ღვინის ეროვნული სააგენტოს და ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners“ მხარდაჭერით, აშშ-ის კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-ანჯელესში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია „Wines of Georgia Grand Tasting“ გაიმართა, რომელმაც ამერიკელ ღვინის დარგის პროფესიონალებს, მედიის წარმომადგენლებსა და მომხმარებლებს უმასპინძლა.**

ღონისძიება მოიცავდა დეგუსტაციას 150-ზე მეტი ტოპ სომელიეს, რითეილერისა და მედიის წარმომადგენლისთვის, ასევე, ქართული ღვინის მასტერკლასს მოწვეული ბაიერებისთვის და მომხმარებლებისთვის. ქართული ღვინის მასშტაბურ დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო 30-მდე ქართული ღვინის კომპანიის 120-მდე ბოთლი სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო, რაც ქართველ მწარმოებლებს აძლევს შესაძლებლობას, გაზარდონ საკუთარი პროდუქციის ცნობადობა და მოიძიონ ახალი სავაჭრო პარტნიორები ამერიკის ღვინის ბაზარზე.

## საქართველოს აზიიდან ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ

**10 კაციანი ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ღვინის პროფესიონალები და კომერციული სფეროს წარმომადგენლები სინგაპურიდან, ავსტრალიიდან და ჰონგ-კონგიდან.**

ტურის ფარგლებში, სტუმრები ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს კახეთსა და ქართლში გაეცნენ, დააგემოვნეს როგორც ქვევრის, ასევე კლასიკური მეთოდით წარმოებული სხვადასხვა სახეობის ქართულ ღვინო. ტურის მონაწილეებისთვის თბილისში ასევე გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო ღვინის მწარმოებელი 16 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინო.

## საქართველოში ამერიკელი ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების ტური ჩატარდა

**14 კაციანი პროფესიონალების ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ „Colangelo & Partners“-ის ქართული ღვინის პოპულარიზაციის კამპანიის მენეჯერი მერიონ ჰელუი და ამერიკის ღვინით ვაჭრობის სექტორის წარმომადგენლები.**

ტურის ფარგლებში, ამერიკელი სტუმრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთში ესტუმრნენ, სადაც ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას გაეცნენ, ადგილზე დააგემოვნეს როგორც კლასიკური, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ღვინოები.

ქართული ღვინის მასტერკლასი და დეგუსტაცია გაიმართა თბილისშიც, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანიის ღვინოებს.

## მედიატური გერმანიიდან

**გერმანიის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations“ ორგანიზებით, საქართველოს გერმანიიდან ჟურნალისტები, ბლოგერები და ინფლუენსერები სტუმრობდნენ.**

ათკაციანი ჯგუფის წევრები ქართლსა და კახეთში ღვინის მწარმოებელ კომპანიებსა და მარნებს ეწვივნენ, დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო, გაეცნენ ქვევრის დამზადების ტექნოლოგიებსა და პროცესს. ქართული ღვინის მასტერკლასი და დეგუსტაცია გაიმართა თბილისშიც.

# საუდის არაბეთის სამეფოში, საერთაშორისო გამოფენაზე FOODEX SAUDI 2025 ქართული ნაციონალური პავილიონი იყო წარმოდგენილი

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, საუდის არაბეთის სამეფოში, ქ. რიადში, სოფლის მეურნეობის საერთაშორისო გამოფენაზე FOODEX SAUDI 2025 ქართული ნაციონალური პავილიონი იყო წარმოდგენილი, სადაც ექვსი ქართული კომპანია იღებდა მონაწილეობას.**

**საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობდნენ კომპანიები: „აგროქიზიყი“, „ჰობი“, „აჩინებული“, „არომაპროდუქტი“, „Georgian Hazelnut Corporation” და „ბარამბო“. აღნიშნული კომპანიების მიერ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შეციებული ცხვრის ხორცი, თაფლი, ორგანული წვენები, თხილი და სხვადასხვა სახის ტკბილეული.**

„ჩვენ ვეხმარებით ქართველ მწარმოებლებს, წარმოადგინონ პროდუქცია მათთვის მნიშვნელოვან ბაზრებზე; სწორედ ამიტომ ვიმყოფებოდით ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში - საუდის არაბეთის სამეფოში საერთაშორისო გამოფენაზე Foodex Saudi 2025“, - განაცხადა სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკა ურუშაძემ.

საუდის არაბეთის სამეფოში საქართველოს ელჩის, ნიკოლოზ რევაზიშვილის განცხადებით, საერთაშორისო გამოფენა Foodex Saudi 2025 არის ერთ-ერთი დიდი გამოფენა არამარტო საუდის არაბეთის სამეფოში, არამედ მთელი ყურის რეგიონში.

„ქართულ კომპანიებს ჰქონდათ შესაძლებლობა, პირდაპირი კონტაქტი დაემყარებინათ ადგილობრივ პარტნიორებთან და განეხილათ ქართული პროდუქციის საუდის არაბეთის სამეფოში იმპორტირების გაზრდის შესაძლებლობები, რაც მნიშვნელოვანია სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებისთვის“, - აღნიშნა საუდის არაბეთის სამეფოში საქართველოს ელჩმა ნიკოლოზ რევაზიშვილმა.

ქართულმა კომპანიებმა, გამოფენის მონაწილეებისა და ვიზიტორების ინტერესი დაიმსახურეს.

„სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერა საერთაშორისო გამოფენებზე ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი მწარმოებლებისთვის, ვინაიდან ის გვაძლევს საშუალებას წარვადგინოთ ჩვენი პროდუქცია საერთაშორისო ბაზარზე. რაც შეეხება საუდის არაბეთს, ჩვენთვის ძალიან საინტერესოა, მზარდი იმპორტის ბაზარი, სადაც მაღალია მოთხოვნა ხარისხიან სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე“, - აღნიშნა შპს „Georgian Hazelnut Corporation” გაყიდვებისა და ექსპორტის მენეჯერმა სოფი გოგიამ.

კომპანია „აგროქიზიყი“ რამდენიმე წელია საერთაშორისო გამოფენების აქტიური მონაწილეა, როგორც შპს „აგროქიზიყის“ დირექტორმა, ბექა გონაშვილმა აღნიშნა, კომპანია მომხმარებლებს ცოცხალ საქონელს, ცხვარს და ხორცს სთავაზობს. მიმდინარე წელს, საქართველოში მოყვანილი ხილის შეთავაზებაც დაიწყეს.

„საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის კუთხით, სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. დამოუკიდებლად ყველაფრის მართვა რთულია, სახელმწიფოს ჩართულობითა და ხელშეწყობით ყველაფერი გაცილებით მარტივდება. როდესაც ქვეყნის ნაციონალურ პავილიონშია წარმოდგენილი პროდუქცია, უცხოელი მომხმარებლისთვის გაცილებით საინტერესოა“,- აღნიშნა კომპანიის „ბარამბო“ კომერციულმა დირექტორმა, ჯანო კუციამ.

„ჩვენი კომპანია არაბულ ბაზარზე უკვე წარმოდგენილია და საუდის არაბეთის სამეფოში ჩვენი პროდუქცია წარმატებით იყიდება. ვცდილობთ აქტიურად მივიღოთ მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენებში. სწორედ ასეთი ღონისძიებები გვაძლევს შესაძლებლობას მომხმარებლებს გავაცნოთ ჩვენი პროდუქცია და განახლებული ასორტიმენტი“, - აღნიშნა შპს „არომაპროდუქტის“ დირექტორმა ვლადიმერ გუგუშვილმა.

გამოფენა განსაკუთრებით საინტერესო იყო ქართული თაფლის მწარმოებლებისთვის

„სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით საუდის არაბეთში, ქ. რიადში, საერთაშორისო გამოფენაზე Foodex saudi წარმოვადგინეთ ჩვენი კომპანიის „ჰობი“ პროდუქცია, ძირითადად თაფლი. ჩვენთვის, არაბული ბაზარი საკმაოდ მიმზიდველია. ამიტომაც გამოფენა საკმაოდ დატვირთული იყო და დიდ იმედებს ვამყარებთ სამომავლო თანამშრომლობაზე პოტენციურ მყიდველებთან“, - აღნიშნა კომპანიის „ჰობი“ დირექტორმა, მიხეილ ჭიღლაძემ.

Foodex Saudi საუდის არაბეთის სამეფოში ერთ-ერთი უმსხვილესი გამოფენაა, რომელშიც საკვები და სასმელი პროდუქციის სექტორის წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას 50-ზე მეტი ქვეყნიდან. გამოფენას 500-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია ესწრებოდა.

# მაიონებელი გამოსხივება მედიცინაში: რისკები და რადიაციული დაცვის უმნიშვნელოვანესი წესები

**მაიონებელი გამოსხივების წყაროები (რენტგენი, კომპიუტერული ტომოგრაფია(CT), სხივური თერაპია) მედიცინაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის გადამწყვეტია. თუმცა, მათი უსაფრთხო გამოყენება რადიაციული უსაფრთხოების ნორმების მკაცრ დაცვას მოითხოვს, რათა დავიცვათ როგორც პაციენტები, ისე სამედიცინო პერსონალი და გარემო.**

**საქართველოში ბირთვული და რადიაციული საქმიანობა, მათ შორის სამედიცინო სფეროში, მკაცრად კონტროლდება. სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია აიღოს ლიცენზია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსგან და დააკმაყოფილოს ყველა დადგენილი უსაფრთხოების მოთხოვნა.**

**სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო საქართველოს მასშტაბით არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში ახორციელებს რადიაციული უსაფრთხოების ნორმების დაცვის პერიოდულ შემოწმებას პაციენტებისა და სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოების დაცვის მიზნით.**

## რადიაციული დაცვის 3 ოქროს წესი (დრო, დისტანცია, ეკრანირება)

დასხივების მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად ყოველთვის გამოიყენება სამი ძირითადი ფაქტორი:

- **დრო:** რაც უფრო მოკლეა მაიონებელი გამოსხივების ველში ყოფნის დრო, მით ნაკლებია მიღებული დოზა;
- **დისტანცია:** რაც უფრო დიდია მანძილი გამოსხივების წყაროდან, მით ნაკლებია დასხივება;
- **ეკრანირება/ინდივიდუალური დაცვის საშუალება:** ტყვიის შემცველი დამცავი საშუალებების (წინსაფრები, ფარები) გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ადამიანის დასხივების დოზას.

## პერსონალის რადიაციული უსაფრთხოების მთავარი მოთხოვნები:

- კვალიფიკაცია და გადამზადება: მაიონებელ წყაროებთან მუშაობა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ შესაბამისი პროფესიული ცოდნა და გავლილი აქვთ გადამზადება რადიაციული დაცვის საკითხებში;
- დოზების კონტროლი: პერსონალი აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური მონიტორინგის ხელსაწყოებით, რათა მუდმივად კონტროლდებოდეს მათი პროფესიული დასხივების დოზები;
- დაცვის საშუალებები: პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ტყვიის დამცავი საშუალებები).

## პაციენტის რადიაციული დაცვის უმნიშვნელოვანესი პრინციპები:

პაციენტების დაცვა ეფუძნება ორ ფუნდამენტურ პრინციპს:

### 1. დასაბუთების პრინციპი:

- კვლევა ან პროცედურა უნდა ჩატარდეს მხოლოდ მკურნალი ექიმის დასაბუთებული დანიშნულების საფუძველზე;
- სარგებელი > რისკი: გამოკვლევის შედეგად პაციენტმა უნდა მიიღოს ჯანმრთელობისთვის გაცილებით მეტი სარგებელი, ვიდრე მოსალოდნელი ზიანი დასხივებისგან;
- ალტერნატიული კვლევის მეთოდები: თუ შესაძლებელია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს არამაიონებელი გამოსხივების ვიზუალიზაციის მეთოდებს (მაგ: ულტრაბგერა, MRI).

### 2. ოპტიმიზაციის პრინციპი

- დასხივების დოზა უნდა დავიყვანოთ რაც შეიძლება დაბალ, მიღწევად დონეზე ისე, რომ არ გაუარესდეს დიაგნოსტიკური ინფორმაციის ხარისხი;
- ველის შეზღუდვა: რენტგენოლოგიური კვლევისას დასხივების ველი უნდა იყოს მინიმალური, ხოლო ექსპოზიციის დრო - მოკლე;
- განმეორებითი კვლევები: დაუშვებელია პაციენტის უსაფუძვლო განმეორებითი დასხივება. განმეორებითი კვლევა ტარდება მხოლოდ დაავადების მიმდინარეობის ცვლილების ახალი ან აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით;
- ინდივიდუალური დაცვა: კვლევისას აუცილებელია პაციენტის დაცვა შესაბამისი ინდივიდუალური საშუალებებით.

## განსაკუთრებული სიფრთხილე:

- **ორსულობა:** რადიოლოგიური პროცედურების წინ, რეპროდუქციული ასაკის ქალ-პაციენტებს ყოველთვის უნდა დაესვას შეკითხვა შესაძლო ორსულობის შესახებ;
- **პედიატრია:** პერსონალმა განსაკუთრებული სიფრთხილე და დოზების მინიმუმამდე დაყვანა უნდა გამოიჩინოს ბავშვების გამოკვლევისას.

## პაციენტის ინფორმირება:

- პაციენტს უნდა მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია პროცედურით მიღებული სარგებლისა და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ.

## როგორ დავიცვათ თავი, როგორც პაციენტმა?

- **დასვით კითხვები:** ყოველთვის კითხეთ ექიმს, რატომ არის ეს კონკრეტული რადიოლოგიური კვლევა საჭირო და აქვს თუ არა მას ალტერნატივა.
- **გამოიყენეთ დამცავი საშუალებები:** მოითხოვეთ ინდივიდუალური დამცავი საშუალებები (მაგ: ტყვიის წინსაფარი, საყელო) სხეულის იმ ნაწილების დასაცავად, რომლებიც არ მონაწილეობს კვლევაში (განსაკუთრებით ფარისებრი ჯირკვალი, რეპროდუქციული ორგანოები).
- **აცნობეთ ორსულობის შესახებ:** თუ ხართ ორსულად ან არსებობს ამის ეჭვი, აუცილებლად შეატყობინეთ ექიმს! ორსულებში რადიოლოგიური კვლევების ჩატარება განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს. ჩატარებული პროცედურის შემდეგ, მოითხოვეთ მიღებული დოზების ამსახველი ფურცელი.

# ყველაზე გამორჩეული 5 ბილიკი, რომელიც შემოდგომით უნდა დალაშქრო

## სამეფო ქედის ბილიკი - ალგეთის ეროვნული პარკი



თბილისიდან ერთი საათის სავალ მანძილზე მდებარე ალგეთის ეროვნული პარკი შესანიშნავი ადგილია შემოდგომის პეიზაჟების აღმოსაჩენად. „სამეფო ქედის“ ბილიკი 16 კილომეტრიან წრიულ მარშრუტს გთავაზობთ. საფეხმავლო გზა მარტივია, შთაბეჭდილება - დაუვიწყარი: ფერადი ტყეები, მშვიდი მდინარე და მზით განათებული მთაგორიანი პეიზაჟები ამ მოგზაურობას ნამდვილ შემოდგომის ზღაპრად აქცევს.

## ლიკანის ხეობის ბილიკი - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დალაშქვრა, წელიწადის ნებისმიერ დროს კარგი იდეაა, თუმცა შემოდგომას თავისი ხიბლი აქვს - ოქროსფერი ტყეები და სუფთა ჰაერი განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნის. „ლიკანის ხეობის“ ბილიკი ჩითახევის ქედისკენ მიგიყვანთ, საიდანაც საოცარი ხედები იშლება. აქ შეგიძლიათ როგორც ფეხით, ისე ცხენით იმოგზაუროთ და ისიამოვნოთ მყუდრო გარემოთი და პარკის მრავალფეროვანი ეკოსისტემით.

## ნინოსხევის ჩანჩქერის ბილიკი - ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები



ნინოსხევის ჩანჩქერისკენ მიმავალი ბილიკი ნამდვილი თავგადასავალია. გზა გურგენიანის საინფორმაციო ცენტრიდან იწყება და მდინარე ნინოს ხევს მიუყვება. პატარა წყალვარდნილები, უზარმაზარი ლოდები და ტყის სიგრილე ამ ადგილს ჯადოსნურ იერს სძენს. გზის ბოლოს კი მთავარი სანახაობა - 40-მეტრიანი ჩანჩქერი გელით, რომლის ხილვა თითქოს სხვა სამყაროში მოგზაურობას ჰგავს.

## არწივის ხეობა - ვაშლოვანის ეროვნული პარკი

ვაშლოვანის ეროვნული პარკი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე განსხვავებული პეიზაჟების მქონე ადგილია, სადაც მშრალი სტეპები, კლდეები და მისტიკური სილამაზე ერთმანეთს ერწყმის. არწივის ხეობის ბილიკი 7-8 კილომეტრიანია და კლდოვან რელიეფზე გადის, საიდანაც შესანიშნავი ხედები იშლება. შემოდგომა აქ იდეალური დროა მოგზაურობისთვის.

## ბულდაშენის ტბის ბილიკი - ჯავახეთის ეროვნული პარკი

ჯავახეთი - ტბების და ვულკანური მთების მხარეა, სადაც ყოველი ნაბიჯი დაუვიწყარ შთაბეჭდილებას გიქმნის. ბულდაშენის ტბის წრიული მარშრუტი სოფელ გორელოვკადან იწყება და ზღვის დონიდან 2040 მ-ზე, ტბის ნაპირებს მიუყვება. გზად შეგიძლიათ დუხობორების ფერადი არქიტექტურა მოინახულოთ. ბულდაშენის ტბა იდეალური ადგილია ფრინველებზე დაკვირვებისთვის და სპორტულ-სამოყვარულო თევზჭერისთვის. ტბის სანაპიროზე მოწყობილი სათვალთვალო კოშკურა და საპიკნიკე სივრცე მოგზაურობას კიდევ უფრო კომფორტულს ხდის.

## საქართველოს ტყის იშვიათი სახეობა
# ქართული ნეკერჩხალი
## ACER IBERICUM BIEB

**ქართული ნეკერჩხალი არიდული ნათელი ტყეების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამ ტიპის ტყეები გავრცელებულია საქართველოს უკიდურეს სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, ჭაჭუნას, ჩათმისა და კატარის მასივებზე, ვაშლოვანის ქვაბულში, მდ. ალაზნის ქვემო აუზში. არიდული ნათელი ტყის დერივატები შემორჩენილია ასევე ნაზარლებზე, კოწახურაზე, ტარიბანაზე, ქვაბების ხევ-ხრამებსა და მიუდგომელ ფერდობებზე.**




ზემოთ ჩამოთვლილ ტერიტორიებზე არიდული ნათელი ტყეების სხვადასხვა ტიპში სხვადასხვა სიხშირით მონაწილეობს ქართული ნეკერჩხალი. ამ ტყეების შექმნაში წამყვანია საკმლისხიანი და ღვიიანი ფორმაციები. მათ გარდა, მომცრო ნაკვეთების სახით წარმოდგენილია ნეკერჩხლიანი, აკაკიანი და ბერყენიანი ფიტოცენოზები.

ქართული ნეკერჩხალი გავრცელებულია აგრეთვე: თელეთის ქედზე (თბილისის შემოგარენი), მდ. ხრამის ხეობაში (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი). სახეობის საერთო არეალი კი მოიცავს: ნაწილობრივ შუა და სამხრეთ ევროპას, აზიის სამხრეთ-დასავლეთს და ირანის ჩრდილოეთ ნაწილს, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს.

ქართული ნეკერჩხალი წმინდა კორომებს არ/ან ძალიან იშვიათად ქმნის მცირე ფართობზე, საუკეთესო კორომები გვხვდება შავ მთაზე. სახეობა მესამეული პერიოდის რელიქტია.

ქართული ნეკერჩხალი ტანდაბალი 8-10 (14) მ-მდე სიმაღლის ხეა, პატარა ლამაზი ვარჯით, ყლორტები მოყავისფროა, მეჭეჭებიანი. ტოტები და ღერო დაფარულია მუქი ნაცრისფერი ქერქით. ფოთლები სამნაკვთიანია, რითაც ეს სახეობა მკვეთრად განსხვავდება ნეკერჩხლის სხვა სახეობებისგან, ზედა მხრიდან მუქი მწვანე, პრიალა, ქვედა მხრიდან კი - ღია მწვანე. ყვავილობს აპრილ-მაისში, ნაყოფმსხმოიარობას იწყებს ივლისის თვიდან. გავრცელებულია ზღვის დონიდან 100-1000 მ-ის ფარგლებში.

**ქართული ნეკერჩხალი მცირე და ფრაგმენტული არეალის გამო შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“, როგორც მოწყვლადი (VU) სახეობა.**

## რუბრიკის „პროფესია და ოჯახი“ დღევანდელი რესპონდენტი გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდროლოგიის დეპარტამენტის საველე-ექსპედიციების სამმართველოს განყოფილების უფროსი ირმა ჯებირაშვილია. ირმა ჯებირაშვილი ექვსი შვილის დედაა

როგორ ითავსებს ამ ორ როლს? როგორია მისი ყოველდღიური ცხოვრება გამოწვევებით სავსე პროფესიასთან და ექვს შვილთან ერთად?

### ჰიდროლოგის პროფესია და პროფესიული გამოწვევები

შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროში გავიზარდე და უკვე 24 წელია აქტიურად ვმოღვაწეობ.
ჰიდროლოგია ძალიან საინტერესო და ამავდროულად ძალიან საპასუხისმგებლო პროფესიაა. ის მოითხოვს, როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ გამოცდილებას. ხშირად დაკავშირებულია სარისკო გარემო პირობებთანაც - განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ბუნებრივ მოვლენებთან, წყალმოვარდნებთან და სტიქიურ მდგომარეობებთან გვაქვს.
მიუხედავად სირთულეებისა, ჰიდროლოგობა არ არის მხოლოდ პროფესია - ის მოწოდებაა. ეს სფერო დაკავშირებულია ადამიანების უსაფრთხოებასთან, ბუნებრივი რესურსების მართვასთან და გარემოს დაცვასთან, რაც მას განსაკუთრებით საჭირო სფეროდ აქცევს.

ბოლო პერიოდში კლიმატის ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ჰიდროლოგიურ პროცესებზე. მყინვარების ინტენსიურმა დნობამ გამოიწვია სტიქიური ჰიდროლოგიური პროცესების დაჩქარება (წყალდიდობები, წყალმოვარდნები), აქედან გამომდინარე, გარემოს ეროვნულ სააგენტოში გაიზარდა ჰიდროლოგიური სადამკვირვებლო ობიექტების რაოდენობა, მოიმატა ჰიდროლოგიურმა დაკვირვებებმა მდინარეებზე, ტბებზე და აგრეთვე მყინვარებზე, ასევე, დაინერგა წინასწარი გაფრთხილების სისტემები.
თანამედროვე ტექნოლოგიების არსებობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჰიდროლოგიის დარგის განვითარებაში, მდინარეებზე დაინერგა ჰიდროლოგიური და ჰიდრავლიკური მოდელები, თანამედროვე ტექნოლოგიური ხელსაწყოების საშუალებით ხდება მდინარეებზე გაზომვითი სამუშაოები. ტექნიკური პროგრესი, გასულ წლებთან შედარებით, საშუალებას გვაძლევს

სააგენტოს სპეციალისტებს, წყლის რესურსებზე დაკვირვება უფრო ზუსტად, ეფექტურად და დროულად განვახორციელოთ.

### მრავალშვილიანი დედა

მიუხედავად დიდი ხელშეწყობისა სამსახურიდან თუ ოჯახიდან, იყო ჰიდროლოგი და ამავდროულად მრავალშვილიანი დედა, ეს საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. რთულია, მაგრამ შესაძლებელია. ქალებს ვეტყოდი, რომ არასოდეს დანებდნენ, ოჯახიც და პროფესიული კარიერაც უმნიშვნელოვანესი ფასეულობებია. ერთდროულად ორივე საქმის კეთება შესაძლებელია. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მე ეს ოჯახისა და თანამშრომლების დიდი მხარდაჭერით შევძელი.

დღეს რომ თავიდან მიწევდეს არჩევანის გაკეთება, კვლავ ამ გზას ავირჩევდი. ჰიდროლოგიის გარეშე ნამდვილად ვერ წარმომიდგენია საკუთარი თავი, ეს პროფესია ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. მიუხედავად სირთულეებისა და გამოწვევებისა, დღემდე სიამაყით ვასრულებ ჩემს საქმეს, რადგან ვიცი, რომ ის ემსახურება გარემოსა და ადამიანებს.

### სოფელ ჭიაურში სარწყავი არხები იწმინდება

შპს „საქართველოს მელიორაცია”, საირიგაციო სისტემების მოწესრიგების ფარგლებში, სოფელ ჭიაურში, კვირიას არხზე სამუშაოებს ატარებს. ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან არხის 3 კილომეტრიანი მონაკვეთი იწმინდება. ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობას გაზრდის, რაც 250 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობისა და 270 ჰექტარი სატბორე მეურნეობისთვის წყლის მიწოდების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ, 2012-2024 წლებში, კახეთში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, დამატებით წყალუზრუნველყოფილია 20 140 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, სარწყავი წყლის მიწოდება 16 285 ჰექტარზე გაუმჯობესდა, ხოლო დრენირებული მიწის ფართობის რაოდენობა 8725 ჰექტარს შეადგენს.

### ხობის მუნიციპალიტეტში დამშრობი ქსელი წესრიგდება

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამეგრელოში სადრენაჟე სისტემების მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს. ექსპლუატაციის ღონისძიებები ხობის მუნიციპალიტეტში ხობი-უტორას დამშრობ მასივზე მიმდინარეობს. სოფლების ხეთისა და პირველი მაისის ტერიტორიაზე, ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 4 კილომეტრი სიგრძის კოლექტორული და შემკრები არხები იწმინდება. ჩატარებული სამუშაოები არხებში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს. შედეგად, 60 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება გაუმჯობესდება, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდას უზრუნველყოფს.
აღსანიშნავია, რომ, 2012-2024 წლებში, სამეგრელოში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, დრენირებულია 12 400 ჰექტარი მიწის ფართობი, ხოლო ჭარბი წყლის მოცილების სამუშაოები 10 170 ჰექტარ მიწის ფართობზე განხორციელდა.

### სამელიორაციო სამუშაოები საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ კახეთში, სოფელ თოხლიაურისა და მანავის მიმდებარე ტერიტორიაზე სადრენაჟე კოლექტორების გაწმენდით სამუშაოებს ახორციელებს. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, გაიზრდება არხის გამტარუნარიანობა, რაც დაახლოებით 150 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობიდან ჭარბი წყლის მოცილებას უზრუნველყოფს.

# ფოთლების დაწვა - უხილავი საფრთხე თქვენს ეზოში

## შემოდგომის ტრადიცია, რომელიც ჰაერს აბინძურებს და ჯანმრთელობას აზიანებს

**შემოდგომით ფოთლების წვა ჩვეულებრივი ტრადიციაა სოფლად და არამარტო. ბევრმა არ იცის, რომ ეს „უწყინარი“ ჩვევა რეალურად სერიოზული საფრთხეა ჩვენი ჯანმრთელობისა და გარემოსთვის. ხანძრის რისკთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება რესპირატორული დაავადებების გამწვავების ალბათობა, განსაკუთრებით ბავშვებში, მოხუცებსა და გულ-ფილტვის ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებში.**

### როცა ფოთლები იწვის, ტოქსინები ჰაერში იფანტება

ალერგოლოგ-იმუნოლოგი ბიძინა კულუმბეგოვი აღნიშნავს, რომ ფოთლების წვისას გამოყოფილი კვამლი შეიცავს მომწამვლელ ნივთიერებებს და კანცეროგენებს, რომლებიც მნიშვნელოვნად აძლიერებენ ალერგიულ რეაქციებს, იწვევენ სასუნთქი გზების ანთებასა და შეშუპებას, რაც განსაკუთრებით საშიშია ალერგიით და ასთმით დაავადებულ პაციენტებში

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის სამმართველოს ხელმძღვანელის, ლაშა ახალიას განმარტებით, ფოთლის კვამლი შეიცავს საშიშ ქიმიკატებს, მათ შორის ნახშირბადის მონოქსიდს, რომელიც ამცირებს ჟანგბადის რაოდენობას სისხლსა და ფილტვებში, ასევე ბენზოპირენს, რომელიც რეაქციაში შედის დნმ ჯაჭვთან და იწვევს უჯრედულ მუტაციას. ამასთან, ნარჩენების წვის დროს, ისეთი ნივთიერებებიც ნადგურდება, რომელიც ანოყიერებს მიწას. იკარგება აზოტოვანი მასები და აღარ ხდება ბუნებრივი ცირკულაცია, შედეგად ნიადაგი სუსტდება.

**ეკოალტერნატივები - როგორ მოვექცეთ ფოთლებს სწორად:**

### მულჩირება - ბუნებრივი ფარი ნიადაგისთვის

დაქუცმაცებული ფოთლების გადანაწილება ბაღის გარე პერიმეტრზე იცავს ნიადაგს გამოშრობისა და ეროზიისგან და დროთა განმავლობაში გარდაქმნის მას ბუნებრივ სასუქად.

### კომპოსტირება - ბუნების რესურსი თქვენს ბოსტანში

შეგროვილი ფოთლები ბაღის სხვა ორგანულ ნარჩენებთან ერთად მოათავსეთ ორმოში. დროთა განმავლობაში თქვენ მიიღებთ ნოყიერ სასუქს.

### ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

მოაგროვეთ ფოთლების ნაწილი ბოსტნის ერთ მხარეს. ზამთარში ბუნებრივი თავშესაფარი ექნება უამრავ მწერს, ლოკოკინას, ზღარბს და სხვა ცოცხალ ორგანიზმს, რაც გაზაფხულზე ბაღის ბუნებრივ ბალანსს აღადგენს.

### კანონი და პასუხისმგებლობა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ახორციელებს 24-საათიან პატრულირებას ქვეყნის მასშტაბით გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით.

დეპარტამენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, ტარიელ ირემაძის თქმით, ფოთლების წვის სეზონზე კონტროლი განსაკუთრებით მკაცრდება, ხოლო თითოეულ შეტყობინებაზე სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერზე - 153 - მყისიერი რეაგირება ხდება.

### ფოთლების დაწვა საქართველოში დასჯადია

ნარჩენების მართვის კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების - ფოთლების, ბაღის/პარკის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა გამოიწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

ფოთლების დაწვა მხოლოდ დროებითი სისუფთავეა - მაგრამ გრძელვადიანად აბინძურებს ჰაერს, აზიანებს ნიადაგს და საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას.

ფოთლების კომპოსტირება და მულჩირება საშუალებას გვაძლევს, ნარჩენი რესურსად ვაქციოთ და ნიადაგის ნაყოფიერება ბუნებრივად აღვადგინოთ.

---

 სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

## ამბროლაურისა და ონის ექვს ადმინისტრაციულ ერთეულში ფაროსანას საწინააღმდეგოდ 960 ჰექტარი ფართობია დამუშავებული

**სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრი მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს დასავლეთ საქართველოში ინტენსიურად ახორციელებს.**

რაჭაში, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში 16 ერთეული სპეციალიზებული ტექნიკით სოფლების:

- სადმელის
- ჭრებალოს
- ღადიშის
- ცხმორის
- პიპილეთის
- კვაშხიეთის

შიდა და გარე პერიმეტრები თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავდა.

ფუტკრის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, ღონისძიებები მეფუტკრე ფერმერებთან კოორდინირებულად და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით, უსაფრთხოების წესების სრული დაცვით, ღამის საათებში ჩატარდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო მართვის ცენტრმა თერმული ნისლით ტერიტორიები დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონის ადმინისტრაციულ ერთეულში დაამუშავა.

# საქართველოს ბიომრავალფეროვნება

ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, საქართველოს ბიომრავალფეროვნება საკმაოდ მდიდარია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველების როგორც ენდემური, ისე სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სახეობები. გაგაცნობთ საქართველოს ფაუნის 4 წარმომადგენელს.

ზარნაშო

**ზარნაშო წარმოადგენს ფრინველების გვარის, ბუსნაირთა რიგის სახეობას.**

გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში გვხვდება ყველგან, როგორც მობინადრე ფრინველი. ბუების რიგის ყველაზე დიდი წარმომადგენელია, მისი სხეულის სიგრძე 65-80 სმ-ს, ფრთების შლილი 175 სმ-ს შეადგენს, ხოლო წონა 2-3 კილოგრამამდე მერყეობს. მდედრი ინდივიდები ზომით მამრებზე დიდები არიან.

საცხოვრებლად იყენებენ როგორც მთის, ასევე ბარის ჰაბიტატებს. უპირატესობას ანიჭებენ ხრამებით მდიდარ მეჩხერტყიან ადგილებს.

იკვებებიან კურდღლებით, ფრინველებით და სხვა მცირე ზომის მღრღნელებით.

საერთაშორისო კონსერვაციული სტატუსით სახეობა არ საჭიროებს ზრუნვას (LC), ეროვნული სტატუსით სახეობის რიცხოვნობა საქართველოში უცნობია (NE).

კოლხური ყოჩივარდა

**კოლხური ყოჩივარდა - Cyclamen colchicum**

კოლხური ყოჩივარდას გავრცელების არეალი:
აფხაზეთში: წებელდა;
რაჭა-ლეჩხუმში: მდინარე ჯონოულას ხეობა და სათავეები, ჯვარი;
სამეგრელოში: მთა ყვირა, მთა ოხაჩკუე, მდინარე ოქუმის ხეობა, მთა მიგარია;
მარტვილის რაიონი, მდინარე ტეხურას ხეობა და ლებარდე.
აღნიშნული სახეობა იზრდება კირქვიან ღორღებზე, კლდეებზე მთისწინებიდან ალპურ სარტყლამდე, ტყეებში, ალპურ ველებზე. მისი გავრცელების არეალი მოიცავს ტერიტორიებს ზღვის დონიდან 300 მეტრიდან 2500 მეტრამდე.
აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოლხური ყოჩივარდა დასავლეთ საქართველოს ენდემურ სახეობას წარმოადგენს. იგი გამოიყენება როგორც დეკორატიული ასევე, სამკურნალო მიზნებისთვის. Cyclamen-ის გვარის დაახლოებით 50 სახეობა გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და დას. აზიაში (ირანამდე). საქართველოში გვხვდება 5 სახეობა.
სახეობისთვის დამახასიათებელია ჯგუფური გავრცელება, თუმცა დაზუსტებული ინფორმაცია საქართველოში კოლხური ყოჩივარდას რაოდენობის შესახებ არ არსებობს.
საერთაშორისო კონსერვაციული სტატუსი მინიჭებული აქვს როგორც NE (არ არის შეფასებული), ხოლო ეროვნული კონსერვაციული სტატუსით იგი წარმოადგენს საფრთხეში მყოფ სახეობას (EN).

წითელმუცელა ბოლოცეცხლა

**წითელმუცელა ბოლოცეცხლა - Phoenicurus erythrogastrus**

წითელმუცელა ბოლოცეცხლა გავრცელებულია კავკასიონის მთათა სისტემაზე, სუბალპურ დ ალპურ სარტყელში.

მათ ჰაბიტატს წარმოადგენს სწორედ ალპურ სარტყელში არსებული ხეობები, ხრამები და მდინარეთა სათავეები. ზამთარში დიდ გუნდებად ინაცვლებენ შედარებით დაბლა, მდინარეთა ხეობების მახლობლად, ქაცვის ბუჩქნარებში.

ამ სახეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ჰაბიტატს წარმოადგენს მდინარე თერგის ხეობაში არსებული ბუჩქნარები, რომელსაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ათასობით წითელმუცელა ბოლოცეცხლა იყენებს გამოსაზამთრებლად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად ასობით ტურისტი სტუმრობს საქართველოს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, ამ სახეობაზე დასაკვირვებლად, რადგან იგი ორნითოლოგებისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო ობიექტს წარმოადგენს.

წითელმუცელა ბოლოცეცხლას საერთაშორისო კონსერვაციული სტატუსი წარმოადგენს LC – არ საჭიროებს ზრუნვას, ხოლო ეროვნული კონსერვაციული სტატუსით იგი მოწყვლად სახეობად ითვლება (VU).

მწვანე გომბეშო

**მწვანე გომბეშო - Bufo viridis**

მწვანე გომბეშო, უკუდო ამფიბიაა გომბეშოსებრთა ოჯახიდან. გავრცელებულია საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე. ბინადრობენ ნაირგვარ ბიოტიპში, მათ შორის ისეთ მშრალ ადგილებში, რომელიც შესაძლოა არახელსაყრელი იყოს სხვა ამფიბიებისთვის.

მისი სხეულის სიგრძე 14 სმ-მდე აღწევს. ზემოდან ღია რუხი ან წენგოსფერია, დიდი მუქი მწვანე ლაქები (ხალები) აქვს.

ცხოვრობს ხმელეთზე. წყალსატევებში ჩადის მხოლოდ გამრავლების პერიოდში, სადაც ყრის ქვირითს. საკვების მოსაპოვებლად გამოდის შებინდებისას და ღამე.

იკვებება ხმელეთის უხერხემლო ცხოველებით. ზამთრის ჰიბერნაციას ატარებს მღრღნელების სოროებში, ორმოებში, ქვების ქვეშ, ფხვიერ მიწაში.

კარგად აქვს განვითარებული შხამიანი ჯირკვლები - პაროტიდები, რომლებიც ადამიანისათვის საშიში არ არის.